

## მაია ბლიაძე

### რას მოგვითხრობს გეოგრაფიული სახელები



გეოგრაფიული სახელების გარეშე რუკა მუნჯია. ნეტავი, რამდენი გეოგრაფიული სახელია დედამიწაზე? უთვალავი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

გეოგრაფიული სახელების შემსწავლელ მეცნიერებას **ტოპონიმის** ეწოდება (ბერძნული სიტყვებიდან “ტოპოს” - „ადგილი“ და „ონიმა“ - სახელი). ამბობენ, რომ ტოპონიმის დედამიწის ენაა. ის გეოგრაფიული სახელების მეშვეობით კაცობრიობის ისტორიას მოგვითხრობს.

### გულივერები და ლილიპუტები

არსებობს გეოგრაფიული სახელები, რომელთა წაკითხვაც კი შეუძლებელია, არათუ დამახსოვრება. ზოგჯერ ისინი ერთსიტყვიანია, მაგრამ რამდენიმე ათეული ასო-ბგერისგან შედგება და გრძელი ფრაზებით ითარგმნება. მაგალითად, აშშ-ში, მასაჩუსეტსის შტატში, მდებარეობს პატარა ტბა, რომელსაც სახელიც 45 ასოსგან შედგება: *Chargoggagoggmanchauggagoggchaubunagungamaugg*. ადგილობრივი ინდიელების ენაზე ეს ნიშნავს: „მე თევზს ამ მხარეს დავიჭერ, შენ - იმ მხარეს, ხოლო შუაში - არავინ“. როგორც ჩანს, ტბის სახელწოდებაში აღბეჭდილია შეთანხმება ინდიელთა ორ ტომს შორის, რომლებიც ტბის აქეთ-იქით ცხოვრობდნენ.



ტბა ჩარგოგაგოგმანჩაუგაგოგჩაუბუნაგუნგამაუგო

ლონდონში, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში, შეიძენთ მსოფლიოში ყველაზე გრძელ (15 სმ სიგრძისა და 4 სმ სიგანის) სარკინიგზო ბილეთს უელსის პატარა სადგურამდე, რომლის სახელწოდებაც ლლანვაირპულლგვინგილგოგერჩვიერნდრობულლლანტისილიოგოგოქი (*Llanfairpwllgwyngyllgogerychwyrndrobwlllantysiliogogoch*). ზეპირ მეტყველებაში სადგურის სახელი შემოკლებით წარმოითქმის: ლლანვაირი, ან ლანვაირ პულგვინგილი. თარგმანი კი ასე

ჟღერს: „ეკლესია კაკლის ხეებით გარშემოტყმულ დაბლობზე, თეთრი მდინარის პირას, მორევის ახლოს, წმინდა ტისილიოს გამოქვაბულთან“. როგორც ხედავთ, ადგილის სახელი მის გეოგრაფიული მდებარეობის აღწერილობასაც მოიცავს. ამბობენ, რომ ეს სახელი ამ დასახლებული პუნქტის ერთ-ერთმა მცხოვრებმა მოიგონა, რათა თავისი არაფრით გამორჩეული სოფელი ყველასთვის გაეცნო.



სადგური ლლანვაირპულლგვინგილოგოგერიჰვერნდრობულლლლანტისილიოგოგოგოქი

კიდევ უფრო გრძელი სახელწოდება აქვს ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ კუნძულის ერთ-ერთ სოფელს: ტაუმატაუჰაკატანგიჰანგაკოაუაუოტამატეაპოკაიუჰენუაკიტანატაჰუ (Taumatawhakatangihangakoauauotamateapokaiwhenuakitanatahu). აბორიგენი ტომის, მაორის ენაზე ეს ნიშნავს: ეს არის ადგილი, საიდანაც იყო მთების მჭამელი გრძელკიდურებიანი კაცი ტამატეა, რომელიც ძრავდა მთებს, ადიოდა მწვერვალზე და იქიდან თავისი სატრფოსთვის უკრავდა ფლეიტაზე.



ტაუმატაუჰაკატანგიჰანგაკოაუაუოტამატეაპოკაიუჰენუაკიტანატაჰუ

და მაინც, ყველაზე გრძელი სახელი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნის, ტაილანდის, დედაქალაქს ბანგოკს. მისი სრული სახელი ასეთია: კრუნგ თჰეუ მაჰანაკჰონ ამონ რატანაკოსინ მაჰინტარაიუტჰაია მაჰადილოკ ფჰოპ ნოჰპარატ რატჩატჰანი ბურრომ უდომრატჰანივეტ მაჰასატან ამონ პიმან ავატან სათით საკკატჰატია ვიტსანუკამ პრასიტ. შემოკლებულ თარგმანში იგი „ველური დიდების ადგილს“ ნიშნავს, სრული სახელწოდება კი ასე ითარგმნება: „ანგელოზთა დიდებული ქალაქი, მარადიული განმსაცავი, დიადი ღმერთის,

ინდრას მიწა, რომლის დაპყრობაც შეუძლებელია, აყვავებული სამეფოს დედაქალაქი, ცხრა უმვირფასესი ქვის ადგილი, სადაც მდებარეობს დიდი სასახლე, სავანე განსხვავებული ღმერთისა“. სწორედ ეს სახელია შესული გინესის რეკორდების წიგნში როგორც ყველაზე გრძელი ტოპონიმი.



*ბანგკოკი, იგივე კრუნგ თჰეუ მაჰანაკონ ამონ რატტანაკოსინ მაჰინტარაიუტჰაია მაჰადილოკ ფჰოუ ნოჰპარატ რატტატჰანი ბურირომ უდომრატჩანივეტ მაჰასატან ამონ პიმან ავატან სათით საკკატჰატია ვიტსანუკამ პრასიტი*

თუ “გულივერი” სახელები ათეულობით ასო-ბგერისგან შემდგარი სიტყვებია, ზოგიერთი სახელი ლაკონურობით გამოირჩევა. პირობითად, მათ “ლილიპუტი” სახელები შეიძლება ვუწოდოთ. მაგალითად, ა ჰქვია მდინარეებს საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და გერმანიაში, დასახლებულ პუნქტებს ნორვეგიაში, საფრანგეთში, დანიასა და შვედეთში.



*მდინარე ა საფრანგეთში, ჩაედინება ჩრდილოეთის ზღვაში.*

არსებობს ორი პატარა ქალაქი სახელად ი. ერთი საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარეობს, მეორე კი - ფინეთის დასავლეთ სანაპიროზე.

საფრანგეთშია სოფელი ო. მართალია, მისი სახელი ერთი ბგერით წარმოითქმის, მაგრამ ფრანგულად 4 ასოთი იწერება.

ბელგიასა და მიანმაში არის ქალაქები, რომლებსაც ე ჰქვია, ხოლო წყნარ ოკეანეში, კაროლინის კუნძულებზე, შეგიძლიათ ესტუმროთ ქალაქ უს. ასევე ეწოდება მდინარე მეკონგის მარცხენა შენაკადს და სამხრეთ კორეაში მდებარე ქალაქს. ამ ტოპონიმების ფონზე მდინარეების პოსა და ჩუს სახელები სწორედ რომ გოლიათებად მოგვეჩვენება.

## სეხნიები

გეოგრაფიულ რუკაზე, ისევე როგორც ადამიანთა შორის, ხშირად ვხვდებით სეხნიებს - ობიექტებს, რომლებსაც ერთნაირი სახელები აქვს, თუმცა სხვადასხვა ადგილას მდებარეობს. მაგალითად, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ვოლგას, ევროპის უდიდეს მდინარეს, ჰყავს სეხნია აიოვას შტატში (აშშ). იგივე სახელწოდება აქვს მდინარე მისისიპის მარჯვენა შენაკადსაც, ამ ამერიკული ვოლგის ნაპირას კი მისივე სახელობის ქალაქი მდებარეობს.

იტალიაში არის კალიფორნია, ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთი შტატის სეხნია ქალაქი, რომელიც კომოს ტბის პირას არის გაშენებული.

რა სახელებს არ ნახავთ იტალიის რუკაზე! ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ იტალიელი გეტყვით, რომ იყო დონზე და ტრიპოლიში, ფილადელფიასა და კანტონში, მოინახულა საფრანგეთი, მაროკო და ლიბანი ისე, რომ თავის ქვეყანას არ გასცილებია.

საინტერესო საგზაო ნიშნები შეგხვდებათ ამერიკის ქალაქ ლიჩულის (მენის შტატი) გარეუბნებში. ისინი გვამცნობენ, რომ აქედან პერუმდე - 90, პოლონეთამდე - 50, დანიაამდე - 35, ნორვეგიამდე კი 25 კმ-ია. ამასთან, ყველა ეს დასახელებული პუნქტი ამავე შტატის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ერთხელ ერთმა მეცნიერმა შენიშნა, ამერიკის გეოგრაფია ევროპის გეოგრაფიის განმეორებითი კურსიაო. მართლაც, აშშ-ისა და კანადის რუკებზე მრავალ ინგლისურ, ფრანგულ და სხვა დასახელებას იპოვით. მაგალითად, აშშ-ში არის ქალაქები ლონდონი, ბოსტონი, ნიუკასლი, კემბრიჯი, ოქსფორდი, ბალტიმორი, ბრისტოლი, გრინვიჩი და სხვები, რომელთა „მშობლები“ ინგლისშია. საფრანგეთიდან აშშ-ში მოხვდა შემდეგი გეოგრაფიული სახელები: ორლეანი, ნანსი, ტულონი, ლიონი და პარიზი. აშშ-ის რუკაზე 7-ჯერ გვხვდება მოსკოვი, მრავალგზის - პეტერბურგი, რომი, კაირო, ათენი, ოდესა და სხვა. ლათინურ ამერიკაში კი უმთავრესად ესპანეთიდან და პორტუგალიიდან „გადასახლებულ“ გეოგრაფიულ სახელებს წააწყდებით: ბარსელონას, ვალენსიას, ვენეციას, გრენადას, კორდოვას, სევილიას... საქართველოში კი, მაგალითად, რამდენიმე ახალქალაქი და ახალდაბაა და ორი ახალციხე.

## გეოგრაფიული სახელები - სიმბოლოები

მრავალ გეოგრაფიულ პუნქტს სიმბოლოური სახელი აქვს. მაგალითად, აშშ-ის რუკაზე წააწყდებით ქალაქებს: ჰანიმუნ (honey-moon), რაც “თაფლობის თვეს” ნიშნავს, პროსპერიტი (**prosperity**) - “გაფურჩქვნას”, “აყვავებას”, ველსი (wealthy) - “მდიდარს”, ბუტიფალი (beautiful) - “ლამაზს”, დრები (drab) - “უფერულს”, “უდიდამოს”, “ფეთხუმს”, უიდოვირი (widower) - “ქვრივების ქალაქს”, პარადისი (paradise) - “სამოთხეს”, ჰელი (hell) - “ჯოჯობეთს” და სხვა.

ბევრი სახელი ორიგინალურობით გამოირჩევა და ხშირად უხერხულობასაც კი იწვევს. მაგალითად, საფრანგეთის ქალაქის კრევეკურ-ლე-გრანის (Crèvecœur-le-Grand) სახელი ითარგმნება როგორც “დიდი წარუმატებლობა”, ხოლო გერმანული ქალაქის ირენშტატის სახელი “სულელების ქალაქს” ნიშნავს.

ხშირად გეოგრაფიულ ობიექტთა სახელები რაიმე საგნის აღმნიშვნელია. მაგალითად: ტარაკანი ინდონეზიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე პატარა კუნძული და ქალაქია; სომბრერო - სრუტეა ინდოეთის ოკეანეში მდებარე ნიკობარის კუნძულებს შორის; ბანკი, ფორტუნა და მირაჟი - იტალიის ქალაქებია, მადონა ლატვიანია, ტანკი - პაკისტანში, ჩაი - თურქეთში, ლიმონი - გვატმალაში, თემა საზღვაო პორტია აფრიკის სახელმწიფო განაში, მარსი და ვენერა კი სოფლებია ბელორუსიაში.





*ტარაკანი ინდონეზიის აღმოსავლეთში მდებარე პატარა კუნძული და ქალაქია*

გეოგრაფიულ ობიექტებს ხშირად ადამიანთა სახელები ჰქვია. მაგალითად, არსებობს მდინარეები ლენა, იანა, ლინდა, იურა, ოლგა, ლიდა, ვერა, სონა, მაგდალენა, მარგარიტა და სხვა.

ზოგჯერ გეოგრაფიული სახელები მარტო ხმოვნებისგან ან თანხმოვნებისგან შედგება. მაგალითად, უაი მდინარეა ინგლისში, აუე - ქალაქი გერმანიაში, ეუი - ქალაქი ტონგას არქიპელაგში (წყნარი ოკეანე), იი - ავსტრალიაში, ეიაო კუნძულია მარკიზის კუნძულთა ჯგუფში, ან კრკ - მდინარეა ხორვატიაში, სმრკ - ქალაქი ჩეხეთში და სხვა.

ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს ნატურალისტის კონცხი და გეოგრაფის ყურე. მათ ეს სახელები იმ გემების პატივსაცემად ეწოდათ, რომლებმაც ისინი აღმოაჩინეს. ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე კი ვხვდებით ბოტანიკის (იმავე ბოტანის) ყურეს. დროთა განმავლობაში ამ ყურეში ქ. სიდნეი დაარსდა.



*ბოტანიკის (ბოტანის) ყურე 1770 წელს ჯეიმს კუკის ექსპედიციამ აღმოაჩინა. კუკმა მას დედამიწის გარშემო თავისი პირველი მოგზაურობის მონაწილეთა პატივსაცემად დაარქვა ასე.*

კანადის ჩრდილოეთ ნაპირებთან, თუ რუკას კარგად დააკვირდებით, იპოვით გეოგრაფიული საზოგადოების კუნძულებს.

მეტად საინტერესოა ანტარქტიკის გეოგრაფიული რუკაც. აქ მთებს, ყურეებს, კუნძულებსა და ნახევარკუნძულებს მხოლოდ პირველადმოძიენთა სახელები კი არ ჰქვია, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული მუსიკასთან. მაგალითად, 1961 წელს, ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების გადაწყვეტილებით, ანტარქტიკის სამხრეთ-დასვლეთში შეიქმნა ე.წ. “მუსიკალური კუთხე” და გაჩნდა ბეთჰოვენის ნახევარკუნძული. აქ ნახავთ ვერდის, ბრამსისა და შუბერტის უბეებს, ჰაიდნისა და ვებერის ყურეებს, ბერლიოზისა და როსინის კონცხებს, მოცარტის, ბახის,

დვორჟაკისა და ვაგნერის შელფურ ყინულებს, გრიგის, ლისტისა და რაველის პიკებს, შტრაუსის, ჩაიკოვსკის, მუსორგსკისა და ზოროდინის მთებს. აქვეა გლინკას კუნძულები, შოსტაკოვიჩის ნახევარკუნძულები, ფიგაროს კონცხი.

ყინულოვან და დაუსახლებელ კონტინენტზე შეხვდებით საყვარელი ლიტერატურული გმირების სახელებსაც. მაგალითად, აქ არის ათოსის, პორთოსისა და არამისის პიკები.

## გეოგრაფიული სახელები გვაფრთხილებენ

გეოგრაფიულ რუკაზე გვხვდება ისეთი სახელებიც, რომელთა ბოლოს ძახილის ნიშნის დასმას საჭირო. მაგალითად, კუნძულ გრენლანდიის სამხრეთით მდებარეობს ფარველის კონცხი, რომლის სახელიც ნიშნავს “იყავი ჯანმრთელად!”

ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოს, ჰონდურასის, აღმოსავლეთ სანაპიროზე კი არის კონცხი გრაციო ადიოს, ანუ “მადლობა ღმერთს!”. ეს სახელი კონცხს ქრისტიანულ კოლუმბმა უწოდა, რომელმაც დიდი წვალეების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მიღწია ამ მიწას.

ურუგვაის დედაქალაქის სახელი, მონტევიდეო, ნიშნავს “ვხედავ მთას”.

არსებობს ისეთი გეოგრაფიული ობიექტებიც, შორისდებულების სახელებს რომ ატარებს. მაგალითად, აჰუ მდინარეა საფრანგეთის სამხრეთით, ახ - მდინარე გერმანიაში, აუ - ავსტრიაში, ურა - ჩელიაბინსკის ოლქში, უხ კი - ტიუმენის ოლქში.

აზერბაიჯანში ლენქორანი ქალაქიცაა და დაბლობიც. მისი სახელი “დარჩის”, “შეყოვნდის” ნიშნავს, ხოლო “მინგეჩაური” ასე ითარგმნება: “შემოტრიალდი!”



*მინგეჩაური მეოთხე ქალაქია აზერბაიჯანში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. იგი მდ. მტკვრის ორივე ნაპირზეა გაშენებული. მინგეჩაურის სახელს ატარებს ასევე წყალსაცავი მინგეჩაურის რაიონში, მდინარე მტკვარზე.*

## ცისარტყელა გეოგრაფიულ რუკაზე

გაგიგონიათ მჟავე წყლის ქალაქი? რა თქმა უნდა - კისლოვოდსკი; ან რკინის წყლის ქალაქი? – ცხადია, ჟელეზნოვოდსკი! მაგრამ გინახავთ ოდესმე ფერების გამომხატველი სახელწოდებანი? წითელი, ყვითელი, თეთრი? თუ გგონიათ, რომ არ გინახავთ, ცდებით: ისინი მრავალფერ ცისარტყელას ქმნიან გეოგრაფიულ რუკაზე. თუ მსოფლიო რუკას ენების უცოდინარმა კაცმა შეხედა, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდება, მაგრამ ლინგვისტი აუცილებლად შეამჩნევს ნაირფერად მოკიაფე ცისარტყელას.

მსოფლიო რუკაზე თეთრ ზღვასაც ნახავთ და შავსაც. რუსეთს ორი თეთრი ზღვა ესაზღვრება. პირველი, ჩვენთვის ნაცნობი - ჩრდილოეთით, ხოლო მეორე, “უცნობი” - ჩრდილო-დასავლეთით. “აქ ხომ ბალტიის ზღვაა?” - იკითხავთ თქვენ. სწორედ ეს არის მეორე თეთრი ზღვა. მისი სახელწოდება წარმოდგება ლატვიური ძირისგან “ბალტ” - “თეთრი”. ამას შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ ევროპაში მესამე თეთრი ზღვაცაა - ეგეოსის ზღვა. ბულგარულ ენაზე მისი სახელი სწორედ “თეთრ ზღვას” ნიშნავს. ასევე უწოდებენ თურქებიც: “აკ დენიზ” - “თეთრი ზღვა”.

“მონზლანი” მთის სახელია, მაგრამ თუ ფრანგულიდან ვთარგმნით, “თეთრ მთას” მივიღებთ. წითელთან დაკავშირებული ტოპონიმები გაინტერესებთ? ინგლისსა და ამერიკაში უამრავ გეოგრაფიულ სახელს შეხვდებით, რომლებიც “რედ”-ით იწყება: რედ-რივერი, რედ-როკი, რედ-კენენი. “რედ” ხომ ინგლისურად წითელს ნიშნავს; ე.ი. ზემოთ ჩამოთვლილი სახელები, შესაბამისად, ყოფილა “წითელი მდინარე”, “წითელი კლდე”, “წითელი ხეობა”. ფრანგულში გვხვდება ასოთა ასეთი შეთანხმება: “რუ” და “რუჟ”, რომელთაც იგივე მნიშვნელობა აქვთ: “რუჟმონ” ან “მონტან რუჟ”, ე.ი. “წითელი მთა”.

უზბეკეთის დედაქალაქს ჩვენ ტაშკენტად ვიცნობთ, უზბეკები კი წარმოთქვამენ და წერენ: ტოშკანდ. უზბეკური ქალაქების სახელებს კენტ ან ყანდ დაბოლოება აქვს (სამარყანდი, ალიმკენტი და სხვ.). შუა აზიაში კენტ, კენდ, კანტ “სახლს”, “სახლების ჯგუფს”, ყიშლაყს ნიშნავდა, დროთა განმავლობაში კი “ქალაქის” აღმნიშვნელად გადაიქცა. ტაშ, ტომ თურქმენულად “ქვაა”. ე.ი. ტაშკენტი “ქვის ქალაქს” ნიშნავს.

მდინარე დონი საისტორიო წყაროებში უძველესი დროიდან მოიხსენიება. ძველმა ბერძენებმა მისი სახელი შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ირანულ ენობრივ ჯგუფში შემავალი ხალხისგან აიღეს, რომლის ენაზეც “დონი” უბრალოდ მდინარეს ნიშნავს.

1957 წელს მდინარე ენისეიზე, კრასნოიარსკის ჰესის მახლობლად, გაჩნდა ახალი ქალაქი დივნოგორსკი, რომლის სახელწოდება ნიშნავს “საოცარ მთებს”.

ბურკინა-ფასო “ღირსეული ხალხის ქვეყანას” ნიშნავს, ხოლო კამერუნის დედაქალაქ უგადუგუს სახელი სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: “კეთილი იყოს თქვენი მობრძანება”.

აფრიკის სახელმწიფოს, რომლის დედაქალაქია ლუანდა, ამჟამად ანგოლა ეწოდება. თავის დროზე ეს იყო მზუნდუს ხალხის პატარა სახელმწიფო, ნდონგო. მას საკუთარი პოლიტიკა ჰქონდა და XVI საუკუნის შუა ხანებში ვაჭრობდა კიდეც სან-ტომეს პორტუგალიელ ახალმოსახლებთან. ქვეყნის მმართველი ნგოლას ტიტულს ატარებდა. ამ ქვეყნის ხალხს XVI საუკუნემდე ხშირად ესხმოდნენ თავს კონგოელები და მონებად მიჰყავდათ. ქვეყანა ზოგჯერ კონგოს ბატონობის უღელქვემ ექცეოდა. ნდონგოს მმართველმა დახმარებისთვის პორტუგალიელებს მიმართა. პორტუგალიელები ამ ქვეყანაში 1560 წელს გამოჩნდნენ მისიონერების სახით და მალე მთელი ქვეყანა კოლონიად აქციეს. მათ “ნგოლა” ქვეყნის სახელწოდებად მიიჩნიეს და თავიანთ ყაიდაზე “ანგოლად” გადააკეთეს.

კატეგატი სრუტეა იუტლანდის ნახევარკუნძულსა (დანია) და შვედეთს შორის. იგი ბალტიის ზღვას ჩრდილოეთის ზღვასთან აკავშირებს. სრუტის სახელწოდება ორი დანიური სიტყვისგან წარმოდგება: “კატი” - ნავი, გემი, “გატა” - ქუჩა. მათი შეერთებით მიღებული სიტყვა “გემების გზას” ნიშნავს, ე.ი. კატეგატი - გემების გზაა.

1498 წელს კოლუმბმა კარიბის ზღვაში, ვენესუელის ნაპირებთან, აღმოაჩინა კუნძული, რომელიც ახლა მარგარიტას სახელითაა ცნობილი. ვენესუელის ტურისტული ბიუროს ცნობარში აღნიშნულია, რომ კუნძულის სილამაზეს სახელწოდებაც მოწმობს: ყვავილისა და ქალის სახელის შეხამება - მარგარიტა. იგი არა მარტო ყვავილების - ულამაზესი ბუნების და ლაჟვარდოვანი ზღვის კუნძულია. ამიტომაც იქცევს ტურისტების ყურადღებას.

1502 წელს, კოლუმბის მეოთხე მოგზაურობის დროს, შტორმმა მისი კარაველები ერთ პატარა ყურეში შეიყვანა. ახლა იქ კოსტა-რიკის პორტი ლიმონია გაშენებული. ამ ადგილის შესახებ კოლუმბმა დღიურში ჩაწერა: “პირველი ორი დღის განმავლობაში ამ მიწაზე მე უფრო მეტი ოქრო ვნახე, ვიდრე ოთხ წელიწადში - ესპანიაში” (კუნძული ჰაიტი). კოლუმბმა კუნძულს


“კოსტა-რიკა” - “მდიდარი სანაპირო” უწოდა. დიდი მოგზაური შეცდა - აქ არც ოქროა და არც ვერცხლი, სამაგიეროდ სანაპიროზე ბევრია ვულკანი.

1500 წლის აპრილში პორტუგალიელთა ესკადრა კაპრალ პედრუ ალვარიშის მეთაურობით პორტუგალიიდან კოლუმბის მიერ აღმოჩენილ “ინდოეთში” გაემგზავრა. ის ეკვატორის მახლობლად უქარო სივრცეში მოხვდა და დინებამ შორს, დასავლეთისკენ წაიღო. პორტუგალიელები უცხო მიწას მიადგნენ, რომელიც მათ კუნძული ეგონათ. კაპრალმა სანაპიროზე ხის ჯვარი აღმართა და ახალ მიწას წმინდა ჯვრის კუნძული (Terra da Santa Cruz) უწოდა.



*პედრუ ალვარიშის ექსპედიცია წმინდა ჯვრის კუნძულთან*

1501 წელს ევროპიდან დასავლეთით კიდევ ერთი ექსპედიცია გაემართა, რომელშიც ამერიგო ვესპუჩიც მონაწილეობდა. ვესპუჩიმ, რომელიც ასტრონომი გახლდათ, გამოიკვლია “კუნძულის” სანაპირო ხაზი ს.გ. 320-მდე და დაასკვნა, რომ იგი დიდი კონტინენტი იყო. პორტუგალიელებს აქედან გაჰქონდათ წითელი ხე, მათ ენაზე - “პაუ ბრაზილ”, ამიტომ ქვეყანასაც ბრაზილია დაარქვეს.



*1519 წლის “Terra Brasilis”-ის რუკის ფრაგმენტი*

არსებობს უცნაურსახელიანი მდინარეები: ყვავი - მდინარე ხოპერის მარჯვენა შენაკადი, შველი - პრიპიატის მარცხენა შენაკადი, კობრა - ვიატკის შენაკადი, გედი - ზიიას შენაკადი, დედა დათვი - დონის მარცხენა შენაკადი და სხვ.



კუნძული სარდინია უძველესი დროიდანაა ცნობილი შხამიანი ოხრახუმით, რომლის ლათინური სახელწოდებაა Herba Sardonica. ადამიანი, რომელიც დაუდევრობით გემოს გაუსინჯავდა ამ ბალახს, სასიკვდილოდ იყო განწირული. აუტანელი ტკივილების გამო ადამიანს ისე ემანჭებოდა სახე, რომ ჰომეროსმა მწარე სიცილს “სარდონიკული” შეარქვა.

### გეოგრაფიული სახელები - საჩუქრები

აღბათ შეამჩნიეთ - ბევრი გეოგრაფიული სახელი საკუთარი სახელებიდანაა წარმოებული. გეოგრაფიული ობიექტები ატარებენ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეების, მკვლევარების, მეცნიერების, მოგზაურებისა და ზღვაოსნების სახელებს, თუმცა ბევრ გეოგრაფიულ პუნქტს შემთხვევითი ადამიანის სახელიც ჰქვია.

დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, ჯომოლუნგმა, ჰიმალაის მთებში, ნეპალსა და ტიბეტს შორის მდებარეობს. ტიბეტურ ენაზე მისი სახელი “თოვლის ღმერთს” ნიშნავს, ხოლო მეორე სახელი, საგარმათჰა, ნეპალური ენიდან “ციურ მწვერვალად” ითარგმნება. თუმცა დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთის დიდ ქვეყნებში ამ მწვერვალს ევერესტად მოიხსენიებენ. ეს არის ტიპური სახელი-საჩუქარი, რომელიც ჯორჯ ევერესტს “მიართვეს”. იგი გასული საუკუნის შუა წლებში ხელმძღვანელობდა ინგლისურ ტოპოგრაფიულ სამმართველოს, თუმცა არასოდეს ყოფილა ინდოეთში და ერთხელაც არ უნახავს თავისი სეხნია მთა.

1954 წელს ინგლისელმა გეოგრაფებმა გადაწყვიტეს, დიდი ბრიტანეთის დედოფლისთვის ელიზაბეტ II-ისთვის მთა “ეჩუქებინათ”, მაგრამ მისმა უდიდებულესობამ საჩუქარზე უარი განაცხადა.

### ჩვეულებრივი ნივთების სახელები რუკაზე

ყოველდღე ვხმარობთ ათასგვარ ნივთს, მაგალითად, ვიცვამთ შარვალს, ვიხურავთ ფარფლებიან ქუდს (პანამას), ვკიდებთ მარმაშის ფარდებს, მივირთმევთ მაიონეზიან სალათას, გვსურს შევიკეროთ ქიშმირის კაბა ან ბოსტონის პიჯაკი, ვსვამთ ბორჯომს, ესენტუკს, ნაბელაგს, სასიამოვნო ჩაროზია ნაყინი “პლომბირი” და ბევრი სხვა, მაგრამ არასდროს დავფიქრებულვართ იმაზე, რომ ყველა დასახელებული ნივთის სახელწოდება გეოგრაფიული სახელებისგან მომდინარეობს. ისინი თავიანთ სადაურობაზე მიგვანიშნებენ.

ბელგიაში არის ქალაქი ბრიუგე. წინათ იქიდან გაჰქონდათ საშარვლე ქსოვილი, რომელსაც ბრიუგეულს, “ბრიუკიშს” უწოდებდნენ. რუსეთში ამ სიტყვამ სახე იცვალა და მზა ტანსაცმელმა “ბრიუკ”-ის სახელწოდება მიიღო.

სიცხეში თითქმის ყველგან ატარებენ ფართოფარფლებიან ქუდს პანამას. იგი მსოფლიოში ცენტრალური ამერიკის ერთ-ერთი პატარა ქვეყნიდან - პანამიდან გავრცელდა.

თხელმა და რბილმა ქიშმირმა სახელი ჩრდილოეთ ინდოეთის პროვინცია ქაშმირისგან მიიღო – ძველად ეს ქსოვილი სწორედ იქიდან გაჰქონდათ.

ბოსტონი შალის ქსოვილია, რომელიც პირველად აშშ-ის ქალაქ ბოსტონში დაამზადეს. ტულის სახელწოდება კი საფრანგეთის ქალაქ ტიულის სახელისგან წარმოდგება. ეს ქალაქი ცნობილია მსუბუქი მრეწველობის ნაწარმით.

მაიონეზი ჩვენთან კუნძულ მენოროკაზე (ბალეარის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში) მდებარე ქალაქ მაინიდან მოვიდა - პირველად სწორედ იქ მოუშადადებიათ ეს სოუსი.

პროვანსალის ზეთი საფრანგეთის სამხრეთით მდებარე პროვანსშია დამზადებული. პლომბირის სახელწოდებაც ფრანგული წარმოშობისაა - მისი დამზადება ქალაქ პლომბირში დაუწყიათ.

განსაკუთრებით “გეოგრაფიულია” ყველის სახელები: პოლანდიური, შვეიცარიული, თუშური, როკფორი (ქალაქი საფრანგეთში), ჩესტერი (ინგლისის საგრაფო)... აღარაფერს ვამბობთ მინერალური წყლების სახელებზე.

### საინტერესო საიტები:

[ჰტტპ://www.ვმირენტერესნოგო.ცომ/არტიკლე/ტჰე-ლონგესტ-ტიტლე](http://www.ვმირენტერესნოგო.ცომ/არტიკლე/ტჰე-ლონგესტ-ტიტლე)

[ჰტტპ://ცომმონს.ნიკიმედიკა.ორგ](http://ცომმონს.ნიკიმედიკა.ორგ)

[ჰტტპ://ცომმონს.ნიკიპედიკა.ორგ](http://ცომმონს.ნიკიპედიკა.ორგ)

[ჰტტპ://რუ.ნიკისოურცე.ორგ](http://რუ.ნიკისოურცე.ორგ)

[ჰტტპ://გეომან.რუ/გეოგრაპჰყ/ინფო/ინდებ.სჰტმლ](http://გეომან.რუ/გეოგრაპჰყ/ინფო/ინდებ.სჰტმლ)

[ჰტტპ://www.ჯიპორტ.ცომ/?სნამე=გეო](http://www.ჯიპორტ.ცომ/?სნამე=გეო)

[ჰტტპ://გეომან.რუ/სიტემაჰ](http://გეომან.რუ/სიტემაჰ)

[ჰტტპ://იგრას.რუ/ინდებ.პჰჰ?რ=169](http://იგრას.რუ/ინდებ.პჰჰ?რ=169)